ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3722353001**
თარიღი:**19/12/2022**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ“ და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციაპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებული ვერსიის სტრუქტურა და შინაარსი ძირითადად აკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიას. აღნიშნული მთავარი ფინანსური დოკუმენტი მის წინამორბედ ანალოგიურ დოკუმენტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული და გამჭვირვალობის თვალსაზრისით საკმაოდ სრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი.

2. კომისიის სხდომაზე დაფიქსირებული შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან მიმართებით, ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში ძირითადად გათვალისწინებულია.

3. პრიორიტეტის - ,,ინფრასრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“-ის დაფინანსება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული იყო 7 040 000 ლარის ოდენობით. კომისიის დასკვნაში ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან მიმართებით, შეთავაზებული იყო აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების გაზრდა გონივრული ოდენობით. თუმცა, მერის წინადადება ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების იგივე ოდენობით (7040000 ლარი) დატოვება და მისი ზრდის დაგეგმვა თავისუფალი ნაშთების განაწილებისა და ადგილობრივი შემოსავლების მოსალოდნელი ოდენობით მობილიზაციის შემდეგ მისაღებია.

4. 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვერსია ითვალისწინებს, პრიორიტეტის -,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“-გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსების მნიშვნელოვან ზრდას 2022 წლის შესაბამისი პერიოდისათვის დაგეგმილი დაფინანსების ოდენობებთან მიმართებით. ეს პროგრამებია:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (2 080 000 ლარი)
- წყალსადენის შიდა ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (1 050 000 ლარი)
- საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება (350 000 ლარი)
- პროექტირება და ექსპერტიზა (600 000 ლარი)

- ბინათმშენებლობა (300 000 ლარი)

- გარეგანათება და ელექტრომომარაგება (1 810 000 ლარი)

- სატრანსპორტო კომპანიის დაფინანსება (150 000 ლარი)

5. პრიორიტეტის - ,,დასუფთავება და გარემოს დაცვა“ - დაფინანსება განსაზღვრულია 3 793 000 ლარით. აღნიშნული დაფინანსების 86%, ანუ 3 256 000 ლარი მოდის პროგრამა ,,მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დაფინანსება“ - განხორციელებაზე. მოცემული პროგრამის დაფინასება ზემოთ აღნიშნული ოდენობით ლოგიკურია.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი:

- პროგრესირებადია

- სრულად პასუხობს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, დასუფთავებისა და გარემოს დაცვის მიმართულებებით არსებული პრობლემების ეფექტურად გტადაწყვეტას, მუნიციპალიტეტის განკარგულებაში არსებული ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების მასშტაბების პირობებში.

7. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიის უმრავლესობა მხარს უჭერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი